TEZAUR LITURGIC

19 APRILIE

ACATISTUL SF.CUVIOASE MATRONA NIKONOVA DE LA MOSCOVA

TBILISI,2000

დაუჯდომელი საგალობელი ნეტარი დედა მატრონასადმი

კონდაკი 1

რჩეულსა ღუთისასა, ჩვილის სახვევთაგან წინაადსწარჭურეტის, სასწაულთმოქმედების და კურნების ნიჭით სული წმიდის მადლით შემოსილს, ნეტარ დედა მატრონას, ღუთის მიერ ცათა შინა უხრწნელი გჳრგჳნით შემკობილს, ჩუენცა, მართლმადიდებელნი, მიწაზე სულიერ გალობასთან ქების გჳრგჳნს დავუწნავთ, შენ კი, ნეტარო დედაო მატრონაო, მიიღე ესე ჩუენთა მადლიერ გულთაგან, ვითარცა ღუთისა წინაშე კადნიერების მქონემ და ყოველგვარ უბედობათა, ჭირთა, სნეულებათა და მტრის საფრთხეთაგან გვიჴსენ, რომელნი ესე სიყუარულით გიღაღადებთ: გიხაროდენ, ნეტარო დედაო მატრონა, საკჳრველო სასწაულმოქმედო.

იკოსი 1

ანგელოზი მიწაზე განხორციელდა შენი შობით, რამეთუ ხორციელ თუალთა გარეშეც ესე ყოველი მოიხილე, ოდეს უფალმა, რომელი განაბრძნობს ბრმათა და მართალნი უყუარს, განანათლნა სულიერნი თუალნი შენნი, მოგვევლინე რა მომავლის,

ვითარცა აწმყოს მხედველი და მრავალგვარ სნეულებათაგან ტანჯულთა განმკურნებელი. ჩუენ კი ამისთჳს გიჴმობთ შენ, ეგევითარო დედაო:

გიხაროდენ, ჩვილობიდანვე ღვთივგამორჩეულო;
გიხაროდენ, სულიწმიდის მადლით სახვევთაგან გაბრწყინვებულო;
გიხაროდენ, სასწაულმოქმედების ნიჭით ყრმობიდანვე მიმადლებულო;
გიხაროდენ, ღუთისა მიერ მაღლით სიბრძნეშემოსილო;
გიხაროდენ, ხორციელთა თუალთა მოკლებულო, სულიერთა თუალთა მიერ განათლებულო;
გიხაროდენ, ამა საუკუნის თუალხილულთა და ბრძენთა უფროსად განბრძნობილო;
გიხაროდენ, ნეტარო დედაო მატრონა, საკჳრველო სასწაულთმოქმედო!

კონდაკი 2

ხედვიდა რაჲ იღუმენი და ერთი წინამდგომი შენი ჟამსა ნათლობისასა, სუეტსა ორთქლისასა წმიდისა ემბაზისაგან აღმომავალსა და ამასთან, კეთილსულნელებასა ტაძარში განფენილს შეიგრძნობდა, შეგიცნო შენ, ვითარცა მართალი ღუთისა მიერ ბოძებული მიწაზე და ადიდა უფალი, რომელი იქმს საკჳრველსა და ყოვლად ქებულსა

წმიდათა შორის თვისთა, ანგელოსებრივი გალობით, ალილუია.

იკოსი 2

მაღლით განთლებული გონების მქონე, ღმრთისა მღუდელმან შენი ნათლობისას ღმრთაებრივ მადლთა ჭურჭლად შეგიცნო სამწყსო მის მიერ მონათლული და შენ, ჩვილსა, წმიდად გიხმობდა. მოგიძღვნით ჩუენცა გულსმოდგინე ქებასა ამას:

გიხაროდენ, სამწყსოო, ღუთისაგან მონიჭებულო;
გიხაროდენ, წმიდისა ემბაზისაგან სული წმიდის მადლით მოფენილო;
გიხაროდენ, შენი ნათლის მცემელი ღმრთისმსახურის მიერ დაბადებითგანვე წმიდანად მჴმობილო;
გიხაროდენ, შენსა სხეულზე ღმრთისა მიერ წმიდა ჯუარით აღბეჭდილო;
გიხაროდენ, სასწაულთმოქმედების ნიჭით უფლისაგან მიწაზე განდიდებულო;
გიხაროდენ, დაუჭნობელი გჳრგჳნით ღმრთისა მიერ ზეცაში შემკობილო;
გიხაროდენ, ნეტარო დედაო მატრონა, საკჳრველო სასწაულთმოქმედო!

კონდაკი 3

მაღლისა ძალით სიჩჩოჲთგანვე წმიდაო, საკუთარ სარეცლითგან წმიდა ხატებთან მიახლებული, მხიარულ იქმნენ, ვითარცა თავისა თჳსისა მეგობრებთან და შენითა ბაგეთაგან ტიტინით მადიდებელო ღმრთისა, რომელი მარადის პირითა ჩვილთა მწოვართაჲთა დაამტკიცებს ქებასა თჳსსა, წმიდა გულით უგალობდი მას, ალილუია.

იკოსი 3

ღმრთისაგან შორსმჭვრეტელობის ნიჭით მიმადლებული, დაბადებითგან ხორციელ თუალთა მოკლებული, სულიერად აღჴილული თუალებით უწინაჲსწარმეტყველებდი ერს მყოობადსა, ვითარცა აწმყოს, ითმენდი რაჲ კიცხუასა და ლანძღუას ამის მსმენელ ნათესავთა და ახლობელთაგან. მიიღე ჩუენ ერთგულთაგან საგალობელი ესე:

გიხაროდენ, საკჳრველო შორსმჭვრეტელო;
გიხაროდენ, უნახავთა და შორსმყოფთა არამტყუარო წინაჲსწარმეტყველო;
გიხაროდენ, წინაჲსწარმეტყველების ნიჭით ღმრთისაგან მიმადლებულო;
გიხაროდენ, ამ ნიჭით მრავალთა ნუგეშინისმცემელო;
გიხაროდენ, სნეულთა კურნებისათვის მათგან

არაფრის მეძიებელო;
გიხაროდენ, ამისთვის კიცხევათა და ყუედრებათა უდრტვინველად დამთმენელო;
გიხაროდენ, ნეტარო დედაო მატრონა, საკჳრველო სასწაულთმოქმედო!

კონდაკი 4

უგულისხმოებისა და ძრწოლის გრიგალს შეუპყრივარ, თუ ვითარ შემძლეველ ვარ ქებად და დიდებად ცხოვრებისა ღმრთისა მართლისა, უკუეთუ არა უფალი, რომელი იქმს საკჳრველსა წმიდათა შორის თჳსთა, ნეტარი დედის ლოცვებით განმაბრძნობს მე, ამისთვისცა მას ქებისა გალობასა აღვავლენთ: ალილუია.

იკოსი 4

მსმენელნი შენგან, დედაო მატრონა, წინაჲსწარმეტყუელებისა მათთან ცხოვრების მქონეთა მყოფებზე, მოილტვიან შენკენ უგულისჴმონი, შეჭირვებულნი და მწუხარენი და ნუგეშინისცემასა და კეთილგონიერ რჩევასა მიიღებენ, გმადლობენ შენ და გიხმობენ:

გიხაროდენ, ჩუენო ცდომებსა და უგულისჴმოებასა შინა მყოფთა კეთილად გულისჴმისმყოფელო;

გიხაროდენ, ჩუენო მწუხარებათაგან დამხსნელო;
გიხაროდენ, ჩუენო ჭირსა შინა ნუგეშინისმცემელო;
გიხაროდენ, სათნოების მასწავლელო;
გიხაროდენ, მადლმოსილო უვეცხლოო;
გიხაროდენ, ყოველგვარ უძლურებათაგან
დამხსნელო;
გიხაროდენ, ნეტარო დედაო მატრონა, საკჳრველო
სასწაულთმოქმედო!

კონდაკი 5

ღმრთაებრივი ვარსკულავი გამოჩნდი, ნეტარო დედაო მატრონა, სატახტო ქალაქ მოსკოვში, ვითარცა მწირი უქონელი ქალაქსა შინა მყოფი, ადგილით ადგილად ინაცვლებდი, მომცემელი უგულუსჴმოთა გულისჴმისყოფისა, ტანჯულთ-შვებასა, სნეულთ-კურნებისა, რომელნი მადლობით უხმობენ უფალს: ალილუია.

იკოსი 5

იხილე რაჲ სასწაულთა და კურნებათა უხვი მდინარე ღმრთაებრივი მადლით შენგან გამომავალი: მკელობელთ სვლაჲ, უძლურებასა და ცხედარსა ზედა მდებარეთა კურნებაჲ, ეშმაკეულთაგან ბოროტ სულთა განდევნაჲ, შენკენ მოილტვიან, დედაო, ვითარცა სასწაულთა დაუშრეტელი წყაროსაკენ ტანჯულნი და

სნეულნი და უხუად დაირწყულებენ;
ნუგეშინისცემულნი და კურნებულნი ლმობიერი
გულით გიღაღადებენ შენ:

გიხაროდენ, მკურნალო, ყველა ჩუენ უძლურებათაგან
განმკურნელო;
გიხაროდენ, სულის სარგებელი რჩევებით შემწეო;
გიხაროდენ, ყველა ჩუენი ეჭვისა და უგულისჴმოების
მსწრაფლგადამწყვეტელო;
გიხაროდენ, ეშმაკთა გვემულ კაცთაგან განმდევნელო;
გიხაროდენ, მართალ, ღმრთისაკენ მიმავალ გზაზე
დამყენებელო;
გიხაროდენ, ნეტარო დედაო მატრონა, საკჳრველო
სასწაულთმოქმედო!

კონდაკი 6

მქადაგებლად შენისა ცხორების სიწმიდისა და
სიმართლისა, ნეტარო, მოგვევლინა წმიდა მამა იოანე
კრონშტადტელი, უბრძანებდა რაჲ მორწმუნე ერს
ტაძარში განყოფასა და შენთვის, მისკენ მიმავალი
ყრმისათვის, გზის დათმობას, გიწოდებდა რა თავის
შემცვლელად და რუსეთის მიერვე ბურჯად და ადიდა
უფალი ამისა მსმენელი, აღუვლენდა რაჲ მას
ღმრთაებრივ გალობასა: ალილუია

იკოსი 6

ლოცვითა შენითა ღმრთის ვერ შემცნობითა და მრავალმცოდველობით მის განმარისხებელთა გულებში ღმრთაებრივი მადლის ნათელი გამობრწყინდა, რამეთუ შენ მიერ ქმნულთა სასწაულთა მხედველნი უფლისაკენ მიიქცევიან, ანეტარებენ რა ნეტარ დედას შემდეგი სიტყუებით:

გიხაროდენ, შენი სასწაულმოქმედებით ღმრთის მადიდებელო;
გიხაროდენ, ღვთის დიდებულებისა და მისივე დიდების მათში ჩუენთვის გამომჩენელო;
გიხაროდენ, ურწმუნოთა გულების ღმრთისაკენ მიმქცეველო;
გიხაროდენ, ურწმუნოებით დაბნელებულ გულთა ღმრთაებრივი ნათლით განმანათლებელო;
გიხაროდენ სინანულისა და ღმრთის მცნებათა ჩუენთვის მასწავლელო;
გიხაროდენ, ყველაფრისათვის ღმრთის დიდებისა და მადლობის შთამაგონებელო;
გიხაროდენ, ნეტარო დედაო მატრონა, საკჳრველო სასწაულთმოქმედო!

კონდაკი 7

ნებავს რაჲ ხსნაჲ თჳსისა ქმნილებისა, უკანსკენლ ჟამს ოდეს მტერი, ღმრთისაგან განდგომისა და აურაცხელ ცოდვათაგან შეუნანებლობის გამო, მთელი ძალით აღმდგარა წინააღმდეგ ღმრთის ქმნილებისა, თავის იმგვარ სათნომყოფელთ გვიგზავნის კაცთმოყუარე უფალი ამ ცოდვილ ქუეყანად, რაგვარადაც მოსაგრე და მლოცველი ნეტარი დედა მატრონა მოგვევლინა. მაშ, ვადიდოთ გულმოწყალება ღმრთისა ჩუენ ცოდვილთა მომართ, მადლობით უგალობდეთ რა მას: ალილუია.

იკოსი 7

უფალმა რუს ხალხს ახალი და საკჳრველი დამცუელი, მლოცუელი, მკურნალი და ღუთის წინაშე შუამდგომელი მოუვლინა ამ ქვეყნიდან განსრულ ოპტინელ მამებთან, წმიდა ლევთან, წმიდა მაკარისთან და წმიდა ამბროსისთან, წმიდა და მართალ იოანე კრონშტანდტელთან ერთად, აღძრავს რა ყველა თავის სათნომყოფელს, რაჲთა ნეტარსა დედასა მატრონას უგალობდნენ ამას:

გიხაროდენ, ჩუენი ხსნისათჳს ღმრთის წინაშე შუამდგომელო;
გიხაროდენ, ჩუენი ცოდვებისათვის სამართლიანი

მსაჯულის გულის მომლბობელო;
გიხაროდენ, წმიდა ეკლესია-მონასტრების
გულმოდგინე მომნახულებელო;
გიხაროდენ, უმწეოთა, უიმედო ავადმყოფთა და
შეურაცხყოფილთა ღმრთივგამოგზავნილო
მფარველო;
გიხაროდენ, ეშმაკეულ ძალთა და მახეთა წინააღმდეგ
დაუღალავო მებრძოლო;
გიხაროდენ, უსისხლო ქრისტეს მოაწამეო,
უბოროტესი მტანჯველის-ეშმაკის დამამარცხებელო;
გიხაროდენ, ნეტარო დედაო მატრონა, საკვრველო
სასწაულთმოქმედო!

კონდაკი 8

უცნაური სასწაულია, იყო ურწმუნო და უგუნური,
ოდეს ბრმას ძალუძს ხილვა და ცოდნა, არა ხოლო თუ
აწმყოსი, არამედ მყოობადისა არ დანახვა, თუ ვითარ
ძალი ღმრთისა, უძლურებათა შინა კაცთა სრულ
იქმნების და არა ესრეთ უგალობდე უფალსა:
ალილუია.

იკოსი 8

სრულიად წმიდა და ღმერთში მყოფი, ხორცითაც და
ამ ცოდვილ ქუეყანაზეც ბევრი ერთგულითა და
ორგულით, კეთილზნეობრივითაც და უზნეოთიც

მარადის გარშემორტყმული, თჳნიერ თანაგრძნობისა და ნუგეშინისცემისა არავისი დამტევებელი, მრავალთაგან შეურაცჴყოფისა და წყენის, დევნის, მწუხარებისა და საყვედურის დამთმენი, ყოველივე ამის არაფრად ჩამგდები, არამედ ყოველივესთვის ღმრთის მადიდებელი. გვაიძულებდა ჩუენც საკუთარი ჯჳრის მოთმინებით ზიდვას და ჩუენც მას აღვუვლენთ ქებასა ამას:

გიხაროდენ, უძლურთა განკურნებისათვის ბევრი ჭირისა და სნეულების დამთმენელო;
გიხაროდენ, უწმიდურ ძალებთან ბრძოლაში მთელი შენი სიცოცხლის გამტარებელო;
გიხაროდენ, ბოროტი ხალხისაგან ამის გამო სიარულის უნარწართმეულო;
გიხაროდენ, მარადის გულსმოდგინე ლოცვაში მყოფო;
გიხაროდენ, რომელი მუშტს დაყრდნობით მჯდომარე განისვენებდი;
გიხაროდენ, სულის სიფხიზლით ღამეთა ლოცვით გამტარებელო;
გიხაროდენ, ნეტარო დედაო მატრონა, საკჳრველო სასწაულთმოქმედო!

კონდაკი 9

მრავალი ჭირი და მწუხარებაჲ დაითმინე, დედაო მატრონა, რომელი განუწყვეტლივ ებრძოდი ბნელ ძალებს, განდევნიდი მათ უწმიდურ ძალთა მიერ შეპყრობილთაგან. საცნაურყოფდი რა მათ მახესა და მანქანებას და არაოდეს დაგცდენია ყუედრება ტანჯულთ, სნეულთ, და მწუხარეთ შემწეო სიკუდილამდე, მაგალობელსა უფალი ღმერთისა, რომელი იგი თჳსი ძალითა განგიმტკიცებდა შენ: ალილუია.

იკოსი 9

მჭევრმეტყველთა მრავალღონენი ვერ შემძლებელ არიან შენთვის ღუთის მიერ ბოძებულ სულიწმიდის ნიჭთა ჯეროვნად წვდომისა და შენი ცხოვრების მთელი სიწმიდისა და ღუთის ძალით შენგან აღსრულებულ სასწაულთა აღწერისა და ქებისა. მით უფრო ვითარ შემძლებელ არს ჩუენი ნაკლული გონება წვდომად განგებულებათა უფლისათა, შენზედ აღსრულებულთა და ჩუენ ცოდვილ ბაგეთაგან ვითარ შევიძლოთ შენდა გალობად და ქებად, ნეტარო დედაო? მაგრამ მსურველნი მეფსალმუნის სიტყუისაებრ დიდებად უფლისა, წმიდათა შორის თჳსთა, შენდამი გულითადი სიყუარულით

მოვილტვით კადნიერად მაქებელნი და მოგიხმობთ შენ:

გიხაროდენ, იწრო და ეკლიანი გზით მავალო;
გიხაროდენ, ზეციური ფრინველივით ადგილით ადგილად გადამფრენო;
გიხაროდენ, რამეთუ მფრინველთა ცისათა საყოფელი უჩნს, შენ კი ტაძარზე უმცირესი საუნჯე მიწაზე არ შეგიკრებია;
გიხაროდენ, რამეთუ მიემსგავსე ძესა კაცისასა, რომელსა მიწაზე არა აქუს, სადა თავი მოიდრიკოს;
გიხაროდენ, რამეთუ მასთანა დაემკჳდრე სასუფეველსა ცათასა;
გიხაროდენ, ნეტარო დედაო მატრონა, საკჳრველო სასწაულთმოქმედო!

კონდაკი 10

სულიერ და ხორციელ სნეულებათაგან მრავალი ხალხის ხსნის მსურველი, ღამეებს მუხლმოდრეკილი ლოცვით განლევდი, მართალო ღვთისაო, შემწეობისა და გაძლიერების მთხოველი უფალი იესუ ქრისტჱსაგან, რომელიც მიწიერი მგზავრობისას, ლოცუით მოიდრეკდა მუხლს თავისი ზეციური მამის წინაშე და ანგელოზნი უგალობდნენ: ალილუია.

იკოსი 10

კედლად და საფარველად ექმენ, ნეტარო დედაო, ჭირსა და მწუხარებათა შინა შენ წინაშე მომავალთა, მაგრამ ხორცთაგან განსვლის შემდგომაც არ წყვეტ შენ წინაშე, რწმენით მომავალ კაცთა მეოხებას. შეისმინე აწ ჩუენ, მრავალმცოდუელთა ჭირთა, სენულებათა და მრავალ მწუხარებათაგან შეპყრობილთა ვედრებაჲ ღვთივსათნო დედაო, და ისწრაფე შეწევნად ჩუენდა შენი წმიდა ლოცვებით, მოწყალემყოფელო კეთილწიაღოვან უფლისა, ყველა შენი მთხოვნელის მიმართ:

გიხაროდენ, ღუთის წინაშე ჩუენთჳს მხურვალე მლოცველო;
გიხაროდენ, ჩუენ, ცოდვილთათჳს, ღუთის წინაშე გულსმოდგინე წარდგომელო;
გიხაროდენ, სნეულებათა და ჭირთა მადლობით მიღების შთამაგონებელო;
გიხაროდენ, კეთილგონიერი აზრების უგულუსჴმოთათჳს გულებზე დამდებელო;
გიხაროდენ, შენი ლოცუებით სულთა ხსნის შემწეო;
გიხაროდენ, სხეულთ შორს მყოფთა, მაგრამ სულით გულსმოდგინედ, შენდამი მვედრებელთა არდამტევებელო;

გიხაროდენ, ნეტარო დედაო მატრონა, საკვრველო სასწაულთმოქმედო!

კონდაკი 11

არამიწიერი, ამგელოსებრივი გალობა გესმის აწ, პატიოსანო დედაო მატრონა, ჯერ კიდევ მიწიერი ცხოვრებისას, მათ მიმსგავსებულო, გარშემომყოფთაგან უხილავად ზეციურ ანგელოზებთან მოსაუბრეო. გვასწავე ჩუენ ულირსთაც, ჯეროვანი დიდება ღვთისა, სამებაში თაყუანისცემულისა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, რამეთუ ცათა შინა დაუღალავად მას უგალობს ზეციური მხედრობა და ერთხმად ადიდებს: ალილუია.

იკოსი 11

გაცისკროვნებული ნათლითა ბრწყინავს ცხორებაჲ შენი, ნეტარო დედაო მატრონა, განმანათლებელო ამაო ქუეყნის სიბნელისა, ჩუენი სულების შენკენ მიმზიდველო, დაე, განათლდნენ ისინი თუნდ მცირედი ნაპერწკალით ღმრთაებრივი მადლისა და შეიძლონ ამ მწუხარე და იწრო ცხოვრებისეული გზის ღმრთივსათნოდ გავლა, რათა მივიდნენ სასუფეველის ბჭემდე, სადაც გვრწამს, ახლა, დედაო, შენ მკვდრობ, შეისმინე ხმა შენდამი მღაღადებელთა:

გიხაროდენ, მნათობო ღმრთისაო, რამეთუ
სიკუდილის შემდგომაც განგვანათლებ;
გიხაროდენ, თუალო პატიოსანო, შენი სიწმიდის
ბრწყინვალების ჩუენამდე მომფენელო;
გიხაროდენ, შენი კეთილი საქმეების შუქით
მართლმადიდებლობაში განმამტკიცებულო;
გიხაროდენ, ყუავილო კეთილსულნელოვანო, ჩუენთა
სულთათჳს სულიწმიდის მომფენელო;
გიხაროდენ, რამეთუ მთელი შენი ცხოვრება წმიდაა
და მართალი;
გიხაროდენ, რამეთუ შენი სიკუდილიც პატიოსანია
წინაშე ღმრთისა;
გიხაროდენ, ნეტარო დედაო მატრონა, საკჳრველო
სასწაულთმოქმედო!

კონდაკი 12

ღმრთაებრივი მადლი უხუად მოგენიჭა ჯერ კიდევ
სახვევთაგან, ნეტარო დედაო, რომელი დღემდე
შენთანა სუფევს: შენ კი სნეულთ კურნავდი, ეშმაკებს
სდევნიდი, უხილავსა და შორს მყოფს
წინაჲსწარმეტყუელებდი და ყველას ცხოვნების გზაზე
აყენებდი. გვწამს უეჭველად, რამეთუ სიკუდილის
შემდგომაც უფროჲს გარდამეტებულად სუფევს
შენთანა მადლი ესე, რომლისათჳსცა მუხლმოყრილნი
გევედრებით: შენს შემწეობას და მფარველობას ნუ

მოგვაკლებ ჩუენც, ჯერ კიდევ ამ ქუეყნად მოგზაურთა, უფლისაგან შეწყალების და გადარჩენის მთხოვნელი ყველასათვის, ვინც ჩუენს წმიდა ტაძრებში გულმოდგინედ აღუვლენთ მას სადღესასწაულო გალობას: ალილუია.

იკოსი 12

უგალობთ რა შენს სასწაულებს, დედაო მატრონა, ვაქებთ უფალსა შენთვის ეგევითარი მადლის მომნიჭებელსა და წინაჲსწარმეტყუელ დავით მეფსალმუნესთან ერთად შევღაღადებთ, ვითარმედ მართალთა შუენის ქება:

გიხაროდენ, რამეთუ უფალსა უყუარან მართალნი;
გიხაროდენ, რამეთუ უფალი განაბრძნობს ბრმათა;
გიხაროდენ, რამეთუ სწყალობს უფალი ყოველთა მოყუარულთა მისთა;
გიხაროდენ, რამეთუ სუფევს უფალი შორის ერსა თჳსსა;
გიხაროდენ, რამეთუ უფალი ჰყოფს ნებასა მოშიშთა მისთასა და შეისმენს ლოცუასა მათსა და იხსნის მათ;
გიხაროდენ, რამეთუ იქებინ ღირსნი დიდებასა მიემსგავსე და იხარებდინ განსასვენებელსა;
გიხაროდენ, ნეტარო დედაო მატრონა, საკჳრველო სასწაულთმოქმედო!

კონდაკი 13

ჵ, ნეტარო დედაო, შეისმინე აწ შენდამი აღვლენილი საქებარი გალობა და ლოცუა, რომელმან აღვითქვი სიკუდილის შემდგომაც მოსმენა შენდამი მღაღადებელთა და გამოითხოვე ჩუენი მაცხოვარისაგან, უფალ იესუ ქრისტჱსაგან, ჩუენთვის ცოდუათა მოტევება, ქრისტეანობითი აღსარული ჩუენისა ცხოვრებისა და კეთილი სიტყუისგება წინაშე საშინელსა სამსჯავროჲსა მისსა, რათა ჩუენცა მიმსგავსებულნი ყოველთა ღუთის მიერ შეწყალებულთა, ცათა სასუფეველში მაქებელთა წმიდისა სამებისათა, მათთან უგალობდეთ შუენიერი გალობით: ალილუია.

(ეს კონდაკი იკითხება სამგზი, შემდეგ იკოსი 1 და კონდაკი 1)